გიორგი გოგსაძე •

2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური პარტიების პოპულისტური და ნა-ტივისტური დისკურსები

აბსტრაქტი

ნაციონალისტური, ნატივისტური და პოპულისტური რიტორიკა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ პოლიტიკაში, რომელთა მზარდი გავლენის მიუხედავად, მათ ნარატივებსა და დისკურსების სამეცნიერო შესწავლას ნაკლები ყურადღება ეთმობა. 2013 წლიდან საქართველო საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდა. შესაბამისად, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა, ამ მოვლენამ პოლიტიკური პარტიების როლი გაზარდა.

2012 წლის შემდეგ გაიზარდა მედია მრავალფეროვნება, რის შედეგადაც მეტ აქტორს მიეცა საშუალება პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულიყო და საზოგადოებისთვის საკუთარი ხედვები წარმოედგინა. აღსანიშნავია, რომ სოციალური მედიის განვითარებამ პოპულიზმის ზრდასაც შეუწყო ხელი. საქართველოში მომხდარი ცვლილებები და მსოფლიოში მზარდი პოპულისტური ტალღა უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ საკითხს. პოპულისტური აქტორების გაძლიერებამ და მათი დისკურსების გავრცელებამ, ქართულ პოპულიზმზე შესამჩნევი გავლენა იქონია.

სტატია მიზნად ისახავს 2016 და 2020 წლების საპარალამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყენებული ნატივისტური, ნაციონალისტური და პოპულისტური დისკურების იდენტი-

---

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი

ფიცირებას. ამასთან ერთად, არსობრივი განსხვავებების გამოვლენას ამ დისკურსებსა და გზავნილებს შორის.

სტატიაში მოცემულია პოპულიზმისა და ნატივიზმის სხვადასხვა განმარტებები და კონცეპტუალიზაცია. პოპულიზმი გაგებულია, როგორც დისკურსული სტილი. იგი ყველა აქტორისთვის არის ხელმისაწვდომი და იძენს მრავალ მნიშვნელობას სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე. ასევე, განხილულია პოპულიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებული ბენჯამინ დე კლინის თეორია, რომლის თანახმადაც პოპულიზმი გამოყენებულია ინსტრუმენტად ნაციონალისტების ხელში. პოლიტიკური პარტიების პროგრამების და მათი ლიდერების სიტყვით გამოსვლების ანალიზისას კვლევაში გამოყენებულია თოინ ვან დაიკის სოციო-პოლიტიკური დისკურსული ანალიზი.

მიგნებების თანახმად, დომინირებენ ისეთი ნარატივები/დისკურსები, როგორიცაა მაგ., „ქართველობას გვართმევენ“, „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნა“, „ასი ათასი მოწამის ქვეყანა“. პარტიების შეხედულებების იდეოლოგიური მნიშვნელობის შეფასებისას დისკურსის შემდეგ ელემენტებს ვხვდებით: აქტორთა ნეგატიურ წარმოჩენას, ნაგულისხმევ მნიშვნელობებს, მოვლენის და ქმედების აღწერის ხარისხს და მეტაფორებს. ისინი გარკვეულ შემთხვევებში ქსენოფობიური დისკურსების (და დამოკიდებულების) გადასაფარად გამოიყენება.

ნატივისტები ყურადღებას ანტიიმიგრანტულ გზავნილებსა და მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვაზე ამახვილებენ (მაგ., თავისუფალი საქართველო, ქართული მარში, პატრიოტთა ალიანსი), ნატივისტური პარტიები, ქსენოფობიურის იარლიყის თავიდან აცილების მიზნით, ცდილობენ საკუთარი პოზიციები ანტილიბერალურად წარმოაჩინონ. ამავდროულად, ანტიიმიგრანტულ გზავნილებს ის პარტიებიც იყენებენ, რომლებიც ნატივისტური დამოკიდებულებით არ გამოირჩევიან (მაგ., ლეიბორისტული პარტია). ნაცი-

ონალ-პოპულისტები ანტიდასავლური და „სექსუალური უმცირე-სობების“ უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართუ-ლი გზავნილებით გამოირჩევიან (მაგ., ქართული იდეა). ორივე მი-მართულების პარტიებში გვხვდება პოპულისტური განცხადებები, რომლის თანახმად, გლობალური ლიბერალური („სოროსული“ და მასონური) ძალები აკონტროლებენ საქართველოს ხელისუფლებას, ებრძვიან ეროვნულ ძალებს და ქართულ ცნობიერებას. ყველა ნატი-ვისტ და ნაციონალ-პოპულისტურ პარტიის რიტორიკისთვის პრაქ-ტიკულად უცხოა რუსეთის კრიტიკა და ხდება დასავლეთის (მაგ., ნატო, აშშ) ნეგატიური ზეგავლენის ხაზგასმა. ხშირ შემთხვევაში ნა-ტივისტების და ნაციონალ-პოპულისტების ნარატივების გამიჯვნა რთულია.

დასკვნის თანახმად, ნაციონალისტური ან ნატივისტური შე-ხედულების მქონე პარტიები საკუთარ დამოკიდებულებას და შეხე-დულებებს პოპულიზმის სახით წარმოაჩენენ, ხოლო ხელისუფლე-ბის (ელიტის) წინააღმდეგ ხალხის სახელით აპელირებენ. ჩემი აზ-რით, ნატივიზმი (ან ნაციონალიზმი) არის მათი იდეოლოგიის ქვა-კუთხედი, ხოლო პოპულიზმი - რეპრეზენტაციის ფორმაა.

შესავალი

მსოფლიოში XXI საუკუნე, პოპულისტური მოძრაობების/პარ-ტიების გაძლიერებით აღინიშნება. კერძოდ, ლიბერალურ დემოკრა-ტიებში, ბოლო 10 წლის განმავლობაში პოპულისტური პარტიების მხარდაჭერა საგრძნობლად გაიზარდა. ეროვნულ არჩევნებში, რო-გორც ულტრამემარჯვენე, ასევე ულტრამემარცხენე პარტიებმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოიპოვეს.[1]

[1] ევროპაში ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე პარტიების საარ-ჩევნო შედეგები დაწვრილებით იხილეთ: https://www.statista.com/chart/17860/results-of-far-right-parties-in-the-most-recent-legislave-elections/

ნაციონალიზმი და პოპულიზმი (პოპულისტური რიტორიკა) მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართულ პოლიტიკაში. პოპულიზმმა და ნაციონალიზმმა დიდი როლი შეასრულა ეროვნული მოძრაობის დროს განვითარებულ მოვლენებსა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ეტაპზე. სხვადასხვა პარტიები და პოლიტიკური ლიდერები პოპულისტურ და ნაციონალისტურ გზავნილებს ამომრჩეველთა გულის მოსაგებად იყენებენ და ეს სტრატეგია, რიგ შემთხვევებში, წარმატების მომტანი აღმოჩნდა. ქართულ პოლიტიკაში პოპულიზმის და ნაციონალიზმის მზარდი გავლენის მიუხედავად, მათ ნარატივებსა და დისკურსების სამეცნიერო შესწავლას ნაკლები ყურადღება ეთმობა. ჩემი აზრით, ამ საკითხის სისტემური შესწავლა მნიშვნელოვანია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების უკეთესად ასახსნელად და გასააზრებლად.

2013 წლიდან საქართველო საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდა, შესაბამისად ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. თავის მხრივ, გაიზარდა პოლიტიკური პარტიების როლი. ამასთან, მცირდება ორი წამყვანი პარტიის მხარდაჭერა. 2012 წელს, „ქართულმა ოცნებამ" და „ნაციონალურმა მოძრაობამ" ჯამში 95%-მდე მხარდაჭერა მიიღეს, ხოლო 2016 და 2020 წლის არჩევნებში ეს მაჩვენებელი 75%-მდე შემცირდა.

2012 წლის შემდეგ მედია უფრო მრავალფეროვანი გახდა, რის შედეგადაც მეტ აქტორს მიეცა საშუალება პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულიყო და საზოგადოებისთვის საკუთარი ხედვები წარმოედგინა. აღსანიშნავია, რომ მედიის განვითარებამ პოპულიზმის ზრდასაც შეუწყო ხელი. სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობა განსაკუთრებით სწრაფად XXI საუკუნის მეორე ათწლეულში გაიზარდა. მასზე სულ უფრო მეტ ადამიანს მიუწვდება ხელი, რაც მათ საშუალებას აძლევს, ერთდროულად იყვნენ ინფორმაციის მომხმარებლები და გამავრცელებლები. აქედან გამომდინარე, მწირი რე-

სურსების მქონე და მარგინალურ (ულტრამემარჯვენე ან ულტრამემარცხენე) პარტიებისთვის ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნა ამომრჩევლებისთვის საკუთარი შეხედულებებისა და გზავნილების შედარებით ადვილად მიწოდების მხრივ.

საქართველოში მომხდარი ცვლილებები და მსოფლიოში მზარდი პოპულისტური ტალღა უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ საკითხს. პოპულისტური აქტორების გაძლიერებამ და მათი დისკურსების გავრცელებამ, ქართულ პოპულიზმზე შესამჩნევი გავლენა იქონია. ამ ნაშრომში, შევეცდები ვაჩვენო თუ როგორც გამოიყენა ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ (მაგალითად: ქართულმა მარშმა, ლეიბორისტულმა პარტიამ, თავისუფალმა საქართველომ, პატრიოტთა ალიანსმა) ევროპული ნაციონალ-პოპულისტური გზავნილები, კერძოდ ანტი-იმიგრანტული რიტორიკა, რაც ქართული პოპულიზმისთვის მანამდე არ იყო დამახასიათებელი. აღნიშნულმა, შესაძლოა გარკვეული ცვლილებები შეიტანოს „მეინსტრიმული“ პარტიების დისკურსის ჩამოყალიბებაში.

პოპულისტურ ნარატივებს არა მხოლოდ პოპულისტური იდეოლოგიის მქონე პარტიები მიმართავენ, არამედ მას ნაციონალისტური ან ნატივისტური შეხედულებების პარტიებიც იყენებენ. პოპულიზმი ხშირად ნაციონალისტურ გზავნილებთან ერთად გამოიყენება. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების მხრიდან ნაციონალ-პოპულისტური გზავნილების გამოყენებას არცთუ იშვიათად აქვს ადგილი. ნაშრომის მიზანია 2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყენებული ნატივისტური, ნაციონალისტური და პოპულისტური დისკურების იდენტიფიცირება. კამპანიის დროს გამოკვეთილი გზავნილების ანალიზი საშუალებას მომცემს გამოიკვეთოს პოლიტიკაში არსებული დაპირისპირებები და შეხედულებები, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ, რაც გარკვეულწილად ასახავს საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს (და სტერეოტიპებს).

საკვლევი შეკითხვაა გამოვლინდეს თუ რომელი პარტიები იყენებდნენ ნატივისტურ, ნაციონალისტურ და პოპულისტურ დისკურსებს და გზავნილებს. ამავდროულად, გამოვლინდება არსობრივი განსხვავებები ამ დისკურსებსა და გზავნილებს შორის. ამ მიზნის მისაღწევად აქცენტი გამახვილებულია პოლიტიკური პარტიების საგარეო პოლიტიკურ ნარატივებზე. კერძოდ, თუ რომელი მათგანი არის ნაციონალისტური/ნატივისტური და რომელი პოპულისტური, როდის და როგორ ხდება მათი გადაკვეთა. ეს ყოველივე დაგვეხმარება ამ ორი ფენომენის ურთიერთდამოკიდებულების უკეთ ახსნაში, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პოპულიზმისა და ნაციონალიზმის თავისებურებების უკეთ შესწავლას. ჩემი ვარაუდით, პოპულისტურ გზავნილებს ნატივისტური და ნაციონალისტური შეხედულებების მქონე პარტიები იყენებენ, რომლებიც ნატივისტური ან ნაციონალისტური შინაარსის გზავნილებს პოპულისტური დისკურსებით გადმოსცემენ.

საქართველოს შემთხვევაში, როგორც ძირძველი ევროპული ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილის დისკურსი, დამოუკიდებლობის პერიოდიდან მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა ელიტებისთვის. ამ კუთხით, წინასაარჩევნოდ თითქმის ყველა კვალიფიციური პარტია ევროკავშირთან მეტად დაახლოებას, ინტეგრაციას და ღია საზოგადოების კონცეფციას უჭერს მხარს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი პარტიის „იდეოლოგია“ შეიძლება არ იყოს პოპულისტური, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში პოპულისტური რიტორიკა იყოს გამოყენებული. საქართველოში აღნიშნული გვხვდება იმ შემთხვევებში, როდესაც ხელისუფლებას აკრიტიკებენ რომ მან პროდასავლური გზიდან გადაუხვია და ხალხის ისტორიული ევროპული არჩევანის წინააღმდეგ მიდის. ამავდროულად, გვხვდება განსხვავებული დისკურსი, რომელიც ანტიდასავლურია, მას განსაკუთრებით მცირე ზომის, ძირითადად, ნატივისტური („ნატივიზმი - ესაა მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების უპირატესი

მხარდაჭერის პოლიტიკა იმიგრანტების ინტერესების საწინააღმდეგოდ“) შეხედულებების მქონე პარტიები იყენებენ და საქართველოს ხელისუფლებების მიერ არჩეულ დასავლურ გზას ქართველი ხალხის ინტერესებისთვის საზიანოდ მიიჩნევენ (ნაციონალიზმი: ენციკლოპედიური ცნობარი, 2021, 104). ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ანტიდასავლურ ნარატივებს არამხოლოდ ანტიიმიგრანტული შეხედულებების მქონე ნატივისტური პარტიები იყენებენ. ზოგიერთი ნაციონალისტური პარტია, რომელსაც ანტიდასავლური შეხედულებები გააჩნია ამ საკითხზე ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს. მათი განცხადებები ძირითადად მიმართულია „სექსუალური უმცირესობების“ უფლებებისა და თავისუფლებების წინაარმდეგ. ქვეყანაში არსებულ პრობლემებს ისინი პროდასავლურ, მათ შორის, „მასონურ“ ძალებს აბრალებენ. სტატიაში გაშუქებულია ის დისკურსები, რომელსაც ქმნიან ნატივისტური და ნაციონალ-პოპულისტური მიმართულების პარტიები.

პოპულიზმი და ნატივიზმი: კონცეპტუალური ჩარჩო

ქვემოთ მოვიყვან პოპულიზმის სხვადასხვა განმარტებებს და კონცეპტუალიზაციას, რათა გამოიკვეთოს თუ რა მიდგომას ვიყენებ სტატიაში. ნაშრომში ასევე მოცემულია ნატივიზმის განმარტება. სტატიაში გამოკვეთილია პოპულიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებული თეორია. ნაშრომში გამოყენებულია პოლიტიკური პარტიების პროგრამების და მათი ლიდერების სიტყვით გამოსვლების დისკურსის ანალიზი.

ფართო გაგებით პოპულიზმი არის „ქმედება/იდეა, რომელიც ხალხს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში აყენებს. უფრო ვიწრო გაგებით: „პოპულისტური პოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკურ ქმედებას ან იდეას, რომელიც რეაგირებს ხალხი/ელიტის განსხვავებაზე (cleavage)“ (Jakobson, 2012, 4-5).

ძირითადად, განასხვავებენ პოპულიზმს როგორც 1) იდეოლოგიას და 2) სტილს (ანუ დისკურსს). პოპულიზმს ვიწროდ განსაზღვრულ იდეოლოგიად („thin-centered" ideology) მიიჩნევს კას მუდე (2004, 543), რომელიც საზოგადოებას ჰყოფს ორ ჰომოგენურ და ანტაგონისტურ ჯგუფად, რომლის ცენტრში არის დაპირისპირება „უბრალო/უმწიკვლო ხალხსა" და „კორუმპირებულ ელიტას" შორის და რომ პოლიტიკა უნდა ასახავდეს უმრავლესობის ნებას. ვიწროდ განსაზღვრული იდეოლოგია, გულისხმობს, რომ პოპულიზმს გააჩნია შეზღუდული საფუძველი, რომელიც მიბმულია პოლიტიკური კონცეფციის უფრო ვიწრო სფეროზე. სხვა სიტყვებით, პოპულიზმი არ არის სრულყოფილი მსოფლმხედველობა, რომელიც გვთავაზობს თანმიმდევრულ პასუხებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ შეკითხვებზე. იგი განცალკევებით არ არსებობს და დაკავშირებულია სხვა იდეოლოგიებთან (მაგ: ნაციონალიზმთან, სოციალიზმთან, ეკოლოგიზმთან და სხვა) (Bonikowski & Gidron, 2016, 8).

შესაბამისად, პოპულისტური დისკურსის იდენტიფიცირებისთვის „ორი მინიმალური" კრიტერიუმი არსებობს: 1) ცენტრალური მითითება „ხალხზე" 2) „ხალხისა" და ელიტის ერთმანეთისგან გამოყოფა და ოპოზიცია. პოპულისტებს კარგად ესმით, რომ პოლიტიკა არის კოლექტიური იდენტობების ჩამოყალიბება („ჩვენ" „სხვების" წინააღმდეგ) (Panayotu, 2017).

მეორე კონცეპტუალური მიდგომის თანახმად, პოპულიზმი გაგებულია, როგორც დისკურსი (ან დისკურსული სტილი) სხვადასხვა პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის, სადაც ყურადღება ეთმობა პარტიათა მანიფესტებს, ლიდერთა გამოსვლებს და მათში გამოხატულ პოპულისტურ ნარატივებს (დისკურსის ანალიზს), ამ მიმდინარეობის ცნობილ წარმომადგენელთა შორის არიან ლაკლაუ და სხვები (Gidron & Bonikowski, 2013, 7-8).

ამ მიდგომას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ლაკლაუს თეორიულ ნაშრომებს უკავშირდება და შემდგომი „ესექსის სკო-

ლის“ დისკურსის ანალიზს (მუფი და სხვ),[2] რომლის მიხედვითაც პოპულიზმი არის ანტი სტატუს-კვო დისკურსი, რომელიც ამარტივებს პოლიტიკურ სივრცეს საზოგადოების ორად დაყოფით, სადაც ერთის მხრივ, არის „ხალხი“ (როგორც დაჩაგრული) და მეორეს მხრივ, არიან „სხვები“ (Moffitt & Tormey, 2013, 5-6).

ლაკლაუსთვის სიმბოლური განსხვავება „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის რომელიც პოპულისტური დისკურსის შემადგენელი ნაწილია, წარმოადგენს კონკრეტული „ცარიელი აღმნიშვნელის“[3] („empty signifiers”) შემთხვევას, რომელსაც შეუძლია მიიღოს მრავალი მნიშვნელობა სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე. პოპულიზმი თავისთავად არ არის იდეოლოგიური ორიენტაციის მანიშნებელი, ის უფრო გზაა პოლიტიკის კონსტრუქციისათვის. ეს მოსაზრება პოპულიზმის მინიმალისტურ არსს განსაზღვრავს. ანუ, პოპულიზმი არის პოლიტიკური ლოგიკა, რომელსაც ახასიათებს პოპულარული სუბიექტურობის თანმიმდევრული კონსტრუქცია, როგორიცაა „ჩვენ ხალხი“ მეტოქის „მათ, ელიტის“ წინააღმდეგ.[4] ეს კა-

[2] მეორე მიდგომა კლასიკურ და რაოდენობრივ კონტენტ (შინაარსის) ანალიზზე ამახვილებს ყურადღებას.

[3] პოპულისტური იდენტობების შექმნისას, სხვადასხვა უკმაყოფილებანი და მოთხოვნები გარკვეული საერთო სიმბოლოს გარშემო კრისტალიზირდება, რასაც ლაკლაუ ცენტრალურ წერტილს ან მოძრავ მანიშნებელს უწოდებს. ის აკავშირებს მოთხოვნებს და მას მრავალ მნიშვნელობას ანიჭებს. ჯაჭვის გაზრდა მანიშნებლის დაცილებას იწვევს მისი ორიგინალური მნიშვნელობისგან. ის აღნიშნულის თეორიულ ფორმულირებას ახდენს და მას „ცარიელ აღმნიშვნელად“ მოიხსენიებს (ე.წ სახელი კონცეპტის გარეშე) (Panizza, 2017, 521).

[4] ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პოპულისტები ყოველთვის ელიტის წინააღმდეგ არ გამოდიან. კონტექსტის მიხედვით, შესაძლოა „ხალხის“ ანტაგონიზმი პირველ რიგში სხვადასხვა ჯგუფებისადმი ან ინსტიტუტებისადმი იყოს მიმართული. პოპულიზმისთვის მტერი შეიძლება იყოს ძველი რეჟიმი, ოლიგარქია, ელიტა ან სხვა. იხილეთ: (Laclau, 2005,

ტეგორიები იძენენ საკუთარ მნიშვნელობას „იდენტიფიკაციის“ (კლასიფიკაციის) პროცესისას, რამდენადაც გარკვეული სოციალური ჯგუფები გაგებულნი არიან როგორც „ხალხი“ (ჩვენ) და დაპირისპირებულნი ოპრესიულ/მჩაგვრელ „სხვებთან“ (ისინი) (Gidron & Bonikowski, 2013, 10). პოპულიზმის ძირითადი მიზანია ანტაგონიზმის კონსტრუქცია. ოპოზიცია რომელიც გადაილახება არა კომპრომისით, არამედ დიალექტიკით (Jakobson, 2012, 14-15). პოპულიზმი გულისხმობს, „სოციალური ველის ანტაგონისტურ და დიქოტომიურ დაყოფას“, სადაც კონკრეტული იდენტობები ახდენენ გადაჯგუფებას დიქოტომიური ველის ერთ-ერთ მხარეს (Roberts, 2017, 376-378).

ამავე მიდგომის მიმდევრისთვის პანიცასთვის, პოპულიზმი ანტი სტატუს-კვო დისკურს წარმოადგენს, მისთვის ანტაგონიზმი იდენტიფიკაციის საშუალებაა (ის ამარტივებს პოლიტიკურ სივრცეს მისი სიმბოლური დაყოფით „ხალხად“ და „სხვებად“), რადგან ის არის ჰეგემონიისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის ნაწილი (Gidron & Bonikowski, 2013, 10). მისთვის პოპულისტური იდენტიფიკაცია ცდილობს ხალხის როგორც ჰომოგენური იდენტობის კონსტრუქციას. ის დაფუძნებულია ექვივალენტურობის (იგივეობის) პოლიტიკაზე. ექვივალენტურობის ლოგიკა ცალკეულ ელემენტებს (მოთხოვნები, იდეები, პრაქტიკები და აგენტები) ერთ საერთო დისკურსში აქცევს და იმაზე ამახვილებს ყურადღებას თუ რა აქვთ მათ საერთო (Panizza, 2017, 520).

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ლიტერატურა ანალიზზე უფრო მეტად, ლაკლაუს მიდგომის დადასტურებით და მტკიცებით არის დაკავებული. დისკურსული მიდგომა, უფრო მეთოდოლოგიურ მიდგომად ჩაითვლება და არა პირდაპირ ჩარჩოდ

39). თუმცა ამავდროულად, პოპულისტები ელიტებისგან განსხვავებულობას უსვამენ ხაზს (Moffit & Tormey, 2013, 11).

ამ ფენომენის ასახსნელად. მას შეუძლია დამხმარე როლი ითამაშოს პოპულიზმის გაგებაში (Moffitt & Tormey, 2013, 5-6).

წინამდებარე მიდგომებს შორის არის მსგავსებები. ორივე ხაზს უსვამს პოლიტიკის მანიქეურ სისტემას და განსხვავებას „ჩვენსა“ და „სხვებს“ შორის, როგორც პოპულისტური რიტორიკის ფუნდამენტურ შემადგენელ ნაწილს. პაპასი და ჰოკინსი აღნიშნულ განმარტებებს ერთ საერთო ფორმას მიაკუთვნებს (Gidron & Bonikowski 2013, 14-15). კერძოდ, ჰოკინსი იყენებს ორი მიდგომის ნარევს, ეს საშუალებას იძლევა პოპულიზმის გამოკვლევას რამდენიმე ამხსნელი მოდელის გამოყენებით (Poblete, 2015, 11). აღსანიშნავია, რომ ავტორი უპირატესობას მაინც დისკურსულ გაგებას ანიჭებს, რადგან ამას უფრო ემპირიულად პრაქტიკულად მიიჩნევს, ის მიიჩნევს, რომ, „თუ პოპულიზმი ფარული, არც ცნობიერი და არც ყოვლისმომცველი იდეების ერთობლიობაა, საუკეთესო მეთოდოლოგიური სტრატეგია ჰერმენევტიკულია“ (Poblete, 2015, 8).

ნაშრომში პოპულიზმი გაგებულია, როგორც დისკურსული სტილი, ჰოკინსის მიდგომის შესაბამისად. როგორც აღინიშნა, პოპულიზმი არ არის დამახასიათებელი მხოლოდ იმ პარტიებისთვის, რომლებიც ასეთებად ითვლებიან. პოლიტიკურ მოთამაშეებს შეუძლიათ ცვალონ მათი რიტორიკული სტილი უფრო ადვილად ვიდრე მათი იდეოლოგია. იგი ყველა აქტორისთვის არის მისაწვდომი და იძენს მრავალ მნიშვნელობას სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე.

ნატივიზმი (გარკვეულ შემთხვევებში მას ნატივისტური ნაციონალიზმის სახელითაც მოიხსენიებენ) ერისადმი კუთვნილებას განსაზღვრავს მხოლოდ მის ტერიტორიაზე დაბადებით და ვინც ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს (მათ შორის მოქალაქეები) იმიგრანტებად ითვლებიან. „ნატივიზმი - ესაა მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების უპირატესი მხარდაჭერის პოლიტიკა იმიგრანტების ინტერესების საწინააღმდეგოდ“ (ნაციონალიზმი: ენციკლოპედიური

ცნობარი, 2021, 104). სხვა სიტყვებით, ის შეიძლება აღიწეროს, როგორც „ქსენოფობიური ნაციონალიზმი“. მუდე მიიჩნევს, რომ ნატივისტების თანახმად, სახელმწიფოები დასახლებულნი უნდა იყვნენ მხოლოდ მშობლიური ჯგუფის წევრებით და რომ არამკვიდრი ხალხი და იდეები ფუნდამენტურ საფრთხეს უქმნის ჰომოგენურ ეროვნულ სახელმწიფოს. ავტორის თანახმად, პოპულისტური რადიკალური მემარჯვენეებისთვის პოპულიზმი მეორეხარისხოვანია ნატივიზმთან შედარებით (Nativism, ECPS).

პოპულიზმის და ნაციონალიზმის ურთიერთმიმართება

ტაგუიფი პოპულისტურ დისკურსში გამოყოფს ორ პოლუსს: პროტესტის (სოციალურს) და იდენტურობის (ნაციონალურს). ელიტების დაგმობას მათი „უცხოელების პარტიად“ წარმოდგენა განაპირობებს. ანუ, ამ შემთხვევაში ანტიელიტიზმი ქსენოფობიისადმი არის დამორჩილებული (1995, 32-34).

ნაციონალიზმსა და პოპულიზმს შორის კონცეპტუალური სხვაობების დადგენა მათი ერთიანი მოქმედების არსის გაგებაში გვეხმარება. ნაციონალიზმი ხალხს განიხილავს, როგორც ერს (ნაციას), ხოლო პოპულიზმისთვის ხალხი „აუთსაიდერია“. ცენტრალურ პუნქტსა და გარე შემადგენელს შორის ურთიერთქმედება ნაციონალიზმის შემთხვევაში ჰორიზონტალურია (შიდა/გარე). ის კონცენტრირებულია წევრობაზე, იდენტობასა და ერის მოქალაქეობაზე (When Populism meets Nationalism…, 2020). სივრცობრივი კუთხით, პოპულიზმი ვერტიკალურ ზედა/ქვედა ღერძზე არის აგებული, რომელიც იერარქიულ პოზიციას, სტატუსსა და ძალაუფლებას ეხება. აღნიშნული ვერტიკალური სტრუქტურა საშუალებას იძლევა განვასხვაოთ პოპულიზმი სხვა დისკურსებისგან რომლებიც „ხალხის“ ცნებას იყენებს. ამ შემთხვევაში „ხალხის“ კონსტრუქცია განსხვავებულად ხდება, როგორც დემოკრატია (ხალხი როგორც დემოსი) და ნაციონალიზმი (ხალხი როგორც ნაცია/ერი) (De Cleen, 2017, 440). დე

კლინის აზრით, პოპულიზმი გამოყენებულია ნაციონალისტების მიერ და ემსახურება ექსკლუზიური ნაციონალიზმის მოთხოვნების ლეგიტიმაციას, რომელიც შეფუთულია, როგორც ხალხის ნების გამოხატვა (2017, 444).

ბრუბაკერი გვთავაზობს განსხვავებულ და უფრო კომპლექსურ მიდგომას. პოპულიზმის განმარტება არ არის „უმწიკვლო“ და ამბივალენტურობას მოიცავს. ის არ ემხრობა დე კლინისა და სტავრაკაკისის მინიმალურ, ერთგანზომილებიან განმარტებას (Brubaker, 2020, 60). მისთვის კონცეპტუალურად ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ღერძზე პოპულიზმი და ნაციონალიზმი ვერ გაიმიჯნება. აღნიშნული დაყოფა ვერ ასახავს პოპულიზმის არაერთგვაროვანებას, პროდუქტიულობასა და „ხალხისადმი“ აპელირებას (რომელიც ხანდახან პლებეებს, სუვერენულ დემოსსა და შეკავშირებულ საზოგადოებას მიმართავენ). პოპულისტური დისკურსის მითითება ყველაზე კარგად გაგებულია ორ განზომილებიან სივრცეში, უთანასწორობის სივრცე და განსხვავებულობის სივრცე. ვერტიკალური და ჰორიზონტალური ოპოზიცია, ხშირად გადახლართულია და ელიტა მდებარეობს როგორც „გარეთ“ ასევე „ზემოთ“ (Brubaker, 2020, 44). ვერტიკალური და ჰორიზონტალური ოპოზიციის გადახლართვა აშკარაა, როდესაც „ქვევით მყოფები“ (მაგ: ბოშები, იმიგრანტები და ა.შ) დანახულნი არიან, როგორც „გარეთ მყოფნი“. ასევე, მათი არცთუ სახარბიელო მდგომარეობა მათი „განსხვავებულობით“ არის ახსნილი. ამგვარ ხედვაში პოპულისტური არაფერია, ის მაშინ ხდება პოპულისტური, როდესაც ელიტებს ბრალდებათ ამ ჯგუფებისთვის პრიორიტეტებისა და პრივილეგიების მინიჭება, უბრალო ხალხის ხარჯზე (Brubaker, 2020, 55).

ნაშრომში პოპულიზმსა და ნაციონალიზმს შორის ურთიერთმიმართება გაგებულია დე კლინის შეხედულების შესაბამისად. კერძოდ, პოპულიზმი გამოყენებულია, როგორც ინსტრუმენტი ნაციონალისტების ხელში.

მეთოდები

კვლევის ერთეულებს შეადგენენ (2016 და 2020 წლების საპარალამენტო არჩევნების) პარტიების პროგრამები[5] და მათი ლიდერებისა და წევრების წინასაარჩევნო გამოსვლები.[6]

სატელევიზიო ინტერვიუები (სადაც პარტიები საარჩევნო პროგრამებზე საუბრობენ) მოპოვებულია ისეთი არხებზე და რადიოზე, როგორიც არის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, ტვ იმედი, ტვ ფორმულა და რადიო თავისუფლება (კერძოდ, „დილის საუბრები ნინო გელაშვილთან“). ზემოთ აღნიშნული მასალის მოძიება მოხდა როგორც ამ პარტიების ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე და ონლაინ პლატფორმა “YouTube”-ზე.

ნაშრომში გამოყენებულია დისკურსული (დისკურსის) ანალიზი. „დისკურსი სოციალური პრაქტიკის თუ ინტერაქციის ფორმაა, რომელიც ამა თუ იმ სოციალურ კონტექსტში გარკვეულ სოციალურ ზემოქმედებას ახდენს“ (წულაძე, 2020, 250). დისკურსის კრიტიკული ანალიზი ძალაუფლებასა და დისკურსს შორის კავშირს იკვლევს. (წულაძე, 2020, 266).

კვლევაში გამოყენებულია თოინ ვან დაიკის სოციო-პოლიტიკური დისკურსული ანალიზი. ეს მიდგომა უფრო დახურულ თეორიულ ჩარჩოს იყენებს და საკუთარ ვარაუდს რამდენიმე მაგალითით

---

[5] ზოგიერთ პატარა პარტიას არ გააჩნია საარჩევნო პროგრამა და შესაბამისად ანალიზის ერთეულად აღებულ იქნა პარტიის წარმომადგენლების ვერბალური გამოსვლები. გივი სილაგაძე აღნიშნავს, რომ „პარტიული მანიფესტები შეიძლება ექვემდებარებოდეს ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას, რის შედეგადაც პარტიის რეალური პოზიცია პოლიტიკურ დისკურსში არ აისახება მის ოფიციალურ დოკუმენტებში“ (Silagadze 2020, 7).

[6] არსებული კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო პერიოდი საქართველოში არჩევნებამდე 60 დღით ადრე იწყება (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2011).

აჩვენებს, რომელიც ყველაზე უკეთ ერგება მის მტკიცებულებებს. ის უფრო ფართო ლინგვისტურ ოპერაციონალიზაციაზე და აგენტის როლზე ამახვილებს ყურადღებას (Wodak & Meyer, 2016, 18-20). ავტორი გამოჰყოფს ორ ცნებას, იდეოლოგიას და მანიპულაციას. იდეოლოგიები სოციალური შემეცნების ფორმებია, რომლებსაც ინდივიდები იყენებენ, ანუ იდეოლოგიები, ძირითადად, სოციალურად გაზიარებული რწმენის სისტემებია (Van Dijk, 2006, 177).

იდეოლოგიური მნიშვნელობის შეფასებისას დისკურსის შემდეგ ელემენტებზე უნდა მოხდეს ფოკუსირება: თემები, არგუმენტები, მოდალობა, ლოგიკური თანმიმდევრობა, ნაგულისხმევი მნიშვნელობები, აქტორების აღწერა, მოვლენის და ქმედების აღწერის ხარისხი, უარყოფა და მეტაფორები (წულაძე, 2020, 282-284).[7]

წინასაარჩევნო პოპულისტური გზავნილები და დისკურსები

2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნებში მრავალი პარტია იყენებდა პოპულისტურ ნარატივებს. საგარეო პოლიტიკური საკითხები იმ საკითხთა შორისაა, რომლებიც პოპულისტურ გზავნილებს მოიცავს. ეს მიმართულება შესაძლებლობას ქმნის გამოიკვეთოს როგორც პოპულისტური, ასევე ნატივისტური და ნაციონალისტური გზავნილები და დისკურსები. ამ კუთხით მრავალი პარტია გამოირჩეოდა. კერძოდ: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ქართული მარში, ქართული იდეა, საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია, ერთიანი კომუნისტური პარტია - სტალინელე-

[7] აქტორთა აღწერის დროს მნიშვნელობა ენიჭება ნაცვალსახელებს. იდეოლოგიური ჯგუფის (ან პარტიების) წევრები, როდესაც საუბრობენ ჩვეულებრივად იყენებენ პოლიტიკურ ნაცვალსახელს „ჩვენ“ (ჩვენი) საკუთარ თავზე და მათი წევრი ჯგუფის წარმომადგენლებზე საუბრისას, ხოლო კონკურენტ და დომინირებულ ჯგუფებზე საუბრისას - „სხვებს“ (მათი) (Wodak & Meyer, 2016, 73).

ბი, თავისუფალი საქართველო, ლეიბორისტული პარტია, თეთრები.

იმ პარტიებს შორის, რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილნი ნატოში გაწევრიანების მიმართ, საქართველოში პროდასავლური სენტიმენტების ფართოდ გავრცელების გამო ცდილობენ, რომ მათი გზავნილები ანტიდასავლურად არ გამოჩნდეს. ამ კუთხით აღსანიშნავია საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის თქმით ისინი აღიარებენ ნატოს სიკეთეებს. თავდაცვისუნარიანობის, ეკონომიკური განვითარების კუთხით, თუმცა ნატოში გაწევრიანება საფრანგეთისა და გერმანიის გამო ვერ ხდება, რომლებიც გვეუბნებიან, რომ საქართველო ვერ გახდება ნატოს წევრი უახლოესი ათეული წლების განმავლობაში (თევდორაძე, 2020).

პარტია ემხრობა სამხედრო მიუმხრომლობას, რომელსაც მათი თქმით მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს. ამ იდეას იმიტომ უნდა დავუჭიროთ მხარი, რომ ნატოს წევრობა არ არის შესაძლებელი (თევდორაძე, 2020).[8] ნატოს მიმართ სკეპტიციზმი მისი სისუსტით არის გამართლებული და რომ მას არ შეუძლია საქართველოს დაცვა საფრთხეებისგან, ხოლო სამხედრო მიუმხრომლობის იდეას ხალხის მხარდაჭერა გააჩნია.

მსგავსი არგუმენტი გააჩნია ქართული დასის ლიდერს, რომელიც აღნიშნავს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. „ჩვენ გვაქვს პერსპექტივა, რომ საქართველო გადაიქცეს რუსეთსა და ნატოს (დასავლეთს) შორის დაპირისპირების ასპარეზად, როგორც სირია და დღეს სირია 22 მილიონიანი ქვეყანა ნანგრევებშია, აი ეს ჩვენ არ უნდა დავუშვათ!“ (ბაღათურია, 2020). არგუმენტი გახლავთ ის, რომ დასავლეთს არ აქვს იმ-

[8] თევდორაძე ემხრობა საქართველოსა და აშშ-ს შორის ისეთივე თავდაცვითი ხელშეკრულება გაფრომდეს, როგორიც არის ისრაელსა და აშშ-ს შორის, თუმცა მისი თქმით, ამაზე არავინ არ მოდის.

ის შესაძლებლობა, რომ საქართველო ნატოში მიიღოს და რუსეთისგან დაიცვას. ამ მიზნით, ბაღათურია ცდილობს ნეგატიური ასოციაცია გამოიწვიოს და მოჰყავს სირიის „ნანგრევების“ მაგალითი.

ბაღათურია აღნიშნავს, რომ ის პროქართული შეხედულების ადამიანია. ის „მედასავლეთე“ ან „მერუსეთე“ იმ დოზით იქნება, რა დოზითაც ეს მის ქვეყანას დასჭირდება, ამ ეტაპზე საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობა სჭირდება, მაგრამ არა მათ მიერ დასავლეთიდან ცხოვრების წესის მოხვევა (ბაღათურია, 2020). დასავლეთის მიმართ ერთ-ერთი მთავარი კრიტიკის საფუძველია, რომ ის თავს გვახვევს თავის ცხოვრების წესს (ე.წ. „ქართველობას გვართმევენ“ ნარატივი). ამ გზავნილს ხშირად იყენებენ ნატივისტური ძალები, რომელიც პოპულიზმის განზომილებას იძენს, რადგან ის ქართველი ხალხის და ქართული ტრადიციების საწინააღმდეგოდ არის წარმოდგენილი და მხოლოდ ელიტის ინტერესებს ემსახურება. ზემოთ აღნიშნულ გზავნილში ვხვდებით, როგორც აქტორთა აღწერას ნეგატიური კუთხით, ხდება შიშებზე და ემოციებზე აპელირება და დასავლეთის, როგორც „სხვის“კონსტრუქცია.

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია ეწინააღმდეგება ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას, ფიფიას (2016) თქმით, ეს არის საქართველოსთვის დამღუპველი გზა, რომლითაც ჩვენ ვუპირისპირდებით პოსტსაბჭოთა სივრცეს, კერძოდ რუსეთს, რომლის ძალითაც ჩვენ გავხდით იარაღი ნატოს და პირველ რიგში აშშ-ს ხელში, იარაღი რუსეთის წინააღმდეგ, სამკვდრო იარაღი. რა თქმა უნდა ჩვენ ძალიან დაგვაზარალა, საქართველო დააზარალა, დაგვაპირისპირა რუსეთს. ტერიტორიული მთლიანობა დაგვაკარგვინა. უარი უნდა ითქვას ისეთ ინტეგრაციაზე, კერძოდ ნატოში, რომელიც რუსეთთან დაპირისპირებას იწვევს (ფიფია, 2016). მოყვანილია უსაფრთხოების არგუმენტი, რომ დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ქართველი ხალხის ინტერესებში არ შედის, ეს რეალურად სხვა (აშშ-ს) ძალის ინტერესებში შედის. პარტიის ლიდერი რამდე-

ნიმეჯერ იმეორებს სიტყვა „იარაღს“ რაც თემის გამსხვილების მიზნად გამოიყენება.

რუსეთთან დაახლოება (მაგ: ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება) გამართლებულია ეკონომიკური მიზნებით და ასევე მათთან ერთიანი სამხედრო პოლიტიკური სივრცე უნდა აღდგეს, რაც ხელს შეუწყობს იმ სივრცის გაერთიანებას, სადაც არის აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი და დანარჩენი საქართველო (ფიფია, 2016). ზოგადად რუსეთთან დაახლოების მომხრეების არგუმენტია, რომ ეს საქართველოსთვის ეკონომიკურად მომგებიანია, ამავე დროს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება თუ მათთან სამხედრო თანამშრომლობა აღდგება.

ნაციონალისტურ გზავნილებს შორის ვხვდებით ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვას, მას ძირითადად ნატივისტური შეხედულებების მქონე პარტიები იყენებენ, თუმცა ის პოპულისტურ განზომილებას იძენს, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას (ელიტას) ამჟამინდელს თუ ყოფილს ბრალდება აღნიშნული ქმედების განხორციელება საკუთარი ფინანსური ინტერესის გამო. „იქ მათი რაღაც დამშრალი ტბა უნდა შეივსოს საქართველოდან გადაქაჩული მილებით, მდინარეებით. ... როგორ შეიძლება საკუთარი ჯიბეების გასქელებით გაყიდო საკუთარი მიწა, საკუთარი წყალიც და მოსახლეობაც“ (ჩაჩუა, 2016). მისი თქმით, ამ ფაქტს სოციალური ქსელები და ირანელი ბიზნესმენები ადასტურებდნენ. ჩაჩუა იმეორებს სიტყვა „საკუთარს“ ამით ის ემოციებზე აპელირებს, სადაც „ჩვენი“ მიწა, წყალი და მოსახლეობა გაყიდულია ხელისუფლების მიერ. აქტორების აღწერის კუთხით, ის ირანის ტერიტორიას „იქ მათი რაღაც დამშრალი ტბის“ ეპიტეთით მოიხსენიებს. აქ იკითხება ქსენოფობიური დამოკიდებულება, ასევე ანტიირანული (ზოგადად ანტიისლამური) გზავნილი, რაც ქართული ნაციონალისტური პოპულიზმის ერთ-ერთი თავისებურება გახდა უკანასკნელ პერიოდში. ეს გზავნილი ანტილიბერალური დისკურსის ნაწილად შეიძლება

ჩაითვალოს. გამომდინარე იქიდან, რომ ელიტები დაგმობილნი არიან უცხოელებისთვის ქართული მიწა-წყლის და რესურსების გადაცემისთვის, შეიძლება დავასკვნათ, რომ მთავარი აქცენტი ამ უკანსკნელზეა, ანუ აპელირება ხდება ამომრჩევლის ნაციონალისტურ გრძნობებზე, ხოლო ის შეფუთულია პოპულისტური შინაარსიით, რომ ხელისუფლება ქართველი ხალხის საკუთრებას ყიდის.

„ქართულ იდეას“ გააჩნია ანტიდასავლური გზავნილები, როგორიც არის ნატოში გაწევრიანებისადმი წინააღმდეგობა. აღსანიშნავია, რომ პარტიის ლიდერის თქმით, ქვეყნის რომელიმე მიმართულებით საგრძნობ გადახრას ქვეყნისთვის ტერიტორიების დაკარგვა მოჰქონდა. ნატოში გაწევრიანების მომხრე პოლიტიკოსებზე ჩაჩუა აღნიშნავს, რომ: „ეს პოლიტიკანები, რომლებიც ამის ხარჯზე, ამ მანიპულირების ხარჯზე და აქედან გამომდინარე შემდეგ დაფინანსების მიღების ხარჯზე იხანგრძლივებენ საკუთარი ხელისუფლებაში ყოფნის ვადას (ჩაჩუა, 2016).

ანტიდასავლური პოზიციები ნეიტრალიტეტის არგუმენტით არის გამყარებული, თითქოს ქვეყანა არცერთ მხარეს არ უნდა იხრებოდეს. პარტიის ლიდერი გულისხმობს, რომ სინამდვილეში ეს კონფლიქტი რუსეთსა და ნატოს შორის არის. ნატო/დასავლეთი რუსეთთან დაპირისპირებისთვის რუსეთის სამეზობლოში მდებარე ქვეყნებს იყენებს[9]. ელიტები დასავლეთს ემორჩილებიან პირადი ინტერესებისა და ხელისუფლებაში დარჩენის მიზნით. ამ შემთხვევაშიც ანტიდასავლური ნაციონალიზმი პოპულისტური დისკურსით არის გადმოცემული. აქტორთა დახასიათების კუთხით პოლიტიკო-

[9] ზემოთ ხსენებული არგუმენტი რუსული ნარატივის ნაწილია, რომელიც ნატოს (და აშშ-ს) აბრალებს კონფლიქტების გაღვივებას პოსტსაბჭოთა სივრცეში, პროდასავლური და ანტიდასავლური რეჟიმების მხარდაჭერით და ამ ქვეყნებს რუსეთთან კონფლიქტი არ ექნებოდათ, რომ არა მათ ქვეყნებში არსებული ანტირუსული ხელისუფლებები და ნატოსკენ სწრაფვა.

სები „პოლიტიკანებად“ არიან მოხსენიებულნი ნეგატიური დამოკიდებულების შესაქმნელად.

საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები ნატოზე უარის თქმას და რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დაწყებას უჭერდნენ მხარს, რაც დევნილების აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მალევე დაბრუნებას გამოიწვევდა. „მთავარი ამ პირობებს შორის არის ის, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას ნატოში გაწევრიანებაზე. აი ეს არის ის, როგორც იტყვიან „ჩვენს მიერ გადასახდელი ხარკი“ (ხაჩიშვილი, 2016). ხაჩიშვილი მოსახლეობის დამოკიდებულებას ნატოს მიმართ გაყალბებულად მიიჩნევდა, რომელიც თავის დროზე სააკაშვილმა გააყალბა. ნატოში გაწევრიანება მხოლოდ ხელისუფლებისა და წინა რეჟიმის ინტერესებში იყო (2016). „ნატო თვითონ ვერ გვიღებს ნატოს წევრად, არავინ ნატოს ხელს არ უშლის. ის გამოწვევები, რომელიც არსებობს ნატოსა და რუსეთის წინაშე, არ აძლევს საშუალებას, რომ საქართველო ოდესმე მიიღოს საკუთარ შემადგენლობაში“ ... „თქვენ, ბატონებო, 25 წლის განმავლობაში ვერ გააწევრიანეთ საქართველო ნატოში“ (ხაჩიშვილი, 2016). ნატოში ვერ გაწევრიანება, ამ ორგანიზაციის სისუსტით და საქართველოს პოლიტიკური ელიტის ტყუილებით არის განპირობებული. აქ ვხედავთ აქტორთა ნეგატიურ აღწერას და პოპულისტურ გზავნილს მატყუარა და არაკომპეტენტური ხელისუფლების/ელიტის შესახებ.

ზოგიერთი პარტია ცდილობს ნატოში გაწევრიანება არასასურველად და მიუღებლად წარმოაჩინოს. ისინი აღნიშნულ ნაბიჯს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის დამღუპველად წარმოადგენენ, რადგან ეს ნაბიჯი ქვეყანას საბოლოოდ დააშორებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. „თუ ნატოში შევალთ გაივლება საზღვარი, სერიოზული აფხაზებთან და ოსებთან და მერე ვეღარც ფეხს ვერ შევდგავთ და ვეღარც დავილაპარაკებთ. ასე, რომ ჯობია რუსეთთან დავილაპარაკოთ ახალი ენით, მაინცდამაინც გინებას ნუ დავიწყებთ...“ (ჯაფოშვილი, 2016). ნაგულისხმევ მნიშვნელობებს

შორის არის, რომ საქართველოს ხელისუფლებების ქმედებებმა განაპირობეს დაპირისპირება რუსეთთან.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ერთ-ერთი მთავარ საკითხებს შორის გახლდათ მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვა. ეს მოთხოვნა არაერთ პარტიას გააჩნდა. პატრიოტთა ალიანსის ლიდერი არგუმენტად ქვეყნის მცირემიწიანობას იშველიებდა. მისი თქმით, ნებისმიერ მილიარდელს შეეძლო მრავალჯერ ეყიდა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მაგალითებს შორის ბრუნეის სულთანი, ბილ გეითსი და ჯორჯ სოროსი იყვნენ დასახელებულნი (თარხან მოურავი, საქართველოს პატრიოტი, 2016, 6). გზავნილის მცდელობაა, რომ მკითხველს ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს, რადგან ნახსენებია სოროსი და გეითსი. პირველი ნაციონალ-პოპულისტი ჯგუფების მთავარი სამიზნე და მტერია, რომელიც ლიბერალურ-მასონისტური ძალების წარმომადგენელია. ქართული მარშის ლიდერის სანდრო ბრეგაძის განცხადებით, სოროსი არის ინსტიტუცია და არა პიროვნება, ის არის ქართველი ერის და მსოფლიოს უბოროტესი მტერი (ბრეგაძე, „ინგა გრიგოლიას საარჩევნო რეაქცია“, 2020). დაახლოებით მსგავსი შეხედულებები უკავშირდება ბილ გეითს, რომელსაც შობადობაზე კონტროლის დაწესება სურს.[10] ხოლო ბრუნეის სულთანის სახით წარმოდგენილია მდიდარი მუსლიმი მმართველი რომელსაც საქართველოს მიწების დაუფლება სურს. იქვე პარალელი გავლებულია საზღვარგარეთ არსებულ კანონმდებლობასთან, სადაც მსგავსი რამ ან აკრძალულია ან ძალზედ შეზღუდულია გასაყიდი მიწების ფართობი. თურქი, ჩინელი და ინდოელი კი იმდენ მიწას იყიდის რამდენსაც მოისურვებს. სტატია აფრთხილებს მოსახლეობას, რომ ერთ დღეს ქართველებმა შეიძლება აღმოაჩინონ, რომ ისინი საქართველოს მიწა-წყლის პატ-

[10] ბილ გეითსის გარშემო არსებული შეხედულები შეგიძლიათ იხილოთ: https://www.reuters.com/article/uk-factcheck-bill-gates-fake-3-billion-q-idUSKBN29Y20D

რონები აღარ არიან (თარხან მოურავი, საქართველოს პატრიოტი, 2016, 6). ამ სამი ქვეყნის დასახელება დაკავშირებულია პატრიოტთა ალიანსის ანტითურქულ ნარატივებთან, ხოლო ჩინელი და ინდოელები, როგორც იმ ერის წარმომადგენლების, რომლებიც საკმაოდ მომრავლდნენ ქვეყანაში და მათი იმიგრაცია უნდა იზღუდებოდეს. თარხან მოურავის განცხადება ძირითადად მოიცავს, ნატივისტურ გზავნილებს, სოროსის და გეითსის შესახებ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებებს და ქსენოფობიურ და ნეგატიურ დამოკიდებულებას თურქების და სხვა ეროვნების წარმომადგენლების მიმართ. ეს გზავნილი პოპულისტურ განზომილებას მაშინ იძენს, როდესაც ხელისუფლებას ბრალდება ქართული მიწა-წყლის გაყიდვა.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა ბევრ მცირე ზომის მემარჯვენე და მემარცხენე პარტიას გააჩნდა, მათ შორის, ლეიბორისტულ პარტიას. პარტიის ლიდერის განცხადებით: „ჩვენ ვართ ერთადერთი ძალა, რომელიც არ გაყიდის ქართულ მიწებს უცხოტომელებზე“ (ნათელაშვილი, „არჩევანი 2016“). უცხოელი აღწერილია, როგორც უცხოტომელი, რომ მტრის და დამპყრობლის ასოციაცია გამოიწვიოს.

2016 წლის არჩევნებში პოპულისტური გზავნილები გააჩნდა პარტია „სახალხო ხელისუფლებას“. აღნიშნული პარტია საგარეო პოლიტიკის მიმართულებით ნეიტრალიტეტს ემხრობოდა და აცხადებდა, რომ ნაციონალური მოძრაობის დროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი კონკრეტული ჯგუფებისა და კლანებისთვის იყო მისაღები და არა ქვეყნისთვის (შუკაკიძე, 2016). პარტიისთვის ერთის მხრივ არის ქართველი ხალხი, ხოლო მეორეს მხრივ არის „სხვა“ ნაციონალური მოძრაობა. პარტიის მოწოდებები პოპულისტურ დისკურსებს მოიცავს, სადაც იკვეთება ვერტიკალური განზომილება, ხალხის კონსტრუქცია, როგორც ჩაგრულის და აუთსაიდერის, ხოლო „სხვა“ ამ შემთხვევაში არის ყოფილი რეჟიმი, ანუ ნაციონალური მოძრაობა. მათ მიერ არჩეული კურსი ქართველი ხალხის

ინტერესებში არ არის. ეს განცხადება ანტიდასავლური დისკურსის ნაწილს წარმოადგენს, სადაც იკვეთება ნაციონალისტური განზომილება.

ნეიტრალიტეტის მომხრე პარტიები ხაზს უსვამდნენ, რომ რომელიმე კონკრეტული ორიენტაციის არჩევა ქვეყანას დაპირისპირების ფრონტად აქცევს. „კი ბატონო, კარგი იქნებოდა ნატოს წევრი, რომ ვიყოთ ... ამდენი ხნის განმავლობაში ერთი ნაბიჯითაც ვერ შევედით ნატოში. ვიზების ლიბერალიზაციაც არ არის. ძალიან შორს ვართ ევროპისგან“ (შუკაკიძე, 2016). ნეიტრალიტეტის მომხრეებისთვის მთავარი არგუმენტი არის საფრთხის არგუმენტი, რომ ნატო ვერ დაიცავს საქართველოს და ქვეყანა სამხედრო აგრესიის მსხვერპლი გახდება.

„25 წლის წინ ვთქვი, რომ ნატოში არ მიგვიღებენ, იმიტომ რომ ნატო თავის რიგებში მიიღებს ქვეყანას, რომელსაც არ აქვს კონფლიქტი. ამან, რომ არ გამოიწვიოს მის ჩაბმა მსოფლიო ომში“ (ნათელაშვილი, „არჩევანი 2016“). ნატოს[11] ასპირანტობასთან დაკავშირებით შეკითხვაზე მან შემდეგი აღნიშნა:

რა თქმა უნდა არანაირი ასპირანტი არ ვართ, არ შეიძლება ვიყოთ ასპირანტი ნატოსი ან ვიღაცის, ჩვენ ვართ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ჩვენ ვართ ქრისტიანობის ბასტიონი აღმოსავლეთში და ტყუილად არ ამბობენ, ევროპელი ექსპერტები ევროპაში, რომ არ ყოფილიყო საქართველო, თურქული იმპერია ვენაში და ავსტრიაში იქნებოდა მიმდგარი.

ზემოთ მოყვანილი განცხადება ნაციონალისტურია. ნათელაშვილს არგუმენტად მოჰყავს „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი

[11] აღსანიშნავია, რომ ზოგადად ლეიბორისტული პარტიის საგარეო პოლიტიკური ვექტორი არათანმიმდევრულობით გამოირჩევა. პარტია საქართველოში აშშ-ს სამხედრო ბაზების განთავსებას ემხრობა, თუმცა ნატოში გაწევრიანებას სკეპტიკურობით უყურებენ (ლეიბორისტული პარტიის პროგრამა, 2020).

ქვეყნის“ გზავნილი და ქრისტიანობისთვის თავდადების ხაზგასმით საკუთარი პოზიციის გამართლებას ცდილობს. განცხადებაში ჩანს ალოგიკური თანმიმდევრობა და არგუმენტები. აქ იკვეთება „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის” და „ასი ათასი მოწამის ქვეყნის” ნარატივები და დისკურსები.

ლეიბორისტული პარტია პოპულისტურ პარტიად არის მიჩნეული. მათი განცხადებით, რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე აუცილებელი იყო ქვეყნის დაცვა უკანონო მიგრაციისგან: „საჭიროა კანონმდებლობის გამკაცრება, რათა ქვეყანა არ წალეკოს მიგრანტთა ტალღებმა, რომლის მატების საშიშროება გაიზრდება ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკის გაძლიერების ფონზე. საჭიროა, უპირველესად, დავიცვათ ჩვენი შრომითი ბაზარი უცხო მუშა ხელისგან“ (ლეიბორისტული პარტიის პროგრამა, 2016, 7). 2020 წლის საარჩევნო პროგრამაში აღნიშნულია: „მკაცრად შევზღუდავთ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მასობრივ ექსპანსიონისტურ გადმოსახლებას ქვეყანაში“ (ლეიბორისტული პარტიის პროგრამა, 2020). ზემოთ ნახსენებ პროგრამაში მოყვანილია „მიგრანტთა ტალღების“ მეტაფორა, რომელიც ქვეყანას წალეკვით ემუქრება თუ ის არ შეჩერდება. ეს არის ერთგვარი მეტაფორა, რომელიც უარყოფითი ასოციაციის აღძვრას ცდილობს ხალხში, რაც შემოსევებთან შეიძლება დავაკავშიროთ. მსგავსი მოწოდებები ევროპაში არსებული ნატივისტურ-პოპულისტური აქტორებისთვის დამახასიათებელი ნარატივია.[12] სიტყვა (მასობრივ) „ექსპანსიონისტური“, ჟღერს როგორც დაპ-

[12] მეტაფორის მსგავსი მაგალითი მოჰყავს თოინ ვან დაიკს მის სტატიაში „იდეოლოგია და დისკურსი“, სადაც ის აღნიშნავს, რომ მეტაფორები აბსტრაქტულ ცნებებს ადამიანების კონკრეტულ გამოცდილებასთან აკავშირებენ. ასეთ შემთხვევებში, შეიძლება ხაზგასმული იყოს უარყოფითი ან დადებითი გრძნობები და მოსაზრებები. მიგრანტების ტალღებზე საუბრით ჩნდება ასოციაცია, რომ ადამიანი შეიძლება დაიხრჩოს (Van Dijk, 2006, 187).

ყრობა და ოკუპაცია. ლეიბორისტული პარტიის ეს გზავნილი უპირველესს ყოვლისა ნაციონალისტურ (ნატივისტურ) განზომილებას მოიცავს და სხვა ერების წარმომადგენლების (იმიგრანტების) წინააღმდეგ არის მიმართული. გზავნილი პოპულისტური ხდება მას მერე, რაც ხელისუფლებას ბრალად ედება ამ საკითხის იგნორირება, შესაბამისად ის არ ზრუნავს ეთნიკური ქართველების კეთილდღეობაზე და იმიგრანტების მხარეს იკავებს. ნატივისტი აქტორებისგან განსხვავებით, ლეიბორისტები იმიგრაციის შეზღდუვის მოთხოვნას ქართული მუშახელის დაცვით ხსნიან.

თავისუფალი საქართველო იმიგრაციის შეზღუდვას მოითხოვდა, მათ შორის, კანონმდებლობის დონეზე: „უნდა შევაჩეროთ ნებისმიერ ტიპის მიგრანტების შემოდინება, განსაკუთრებით შრომითი მიგრანტების. ცენტრალურ მაგისტრალზე ავტობანის მშენებლობაზე მუშები ჩამოგვყავს პეკინიდან და შანხაიდან, ჭიათურიდან და საჩხერიდან უმუშევრები კი ესპანეთში გარბიან“ (კუკავა, „7 პრიორიტეტი გვაქვს...“, 2020). „თავისუფალი საქართველოს“ პროგრამაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოსახლეობის კლებასთან ერთად იზრდება იმიგრანტების რაოდენობა: „ყოველივე ამას ემატება იმიგრანტების მზარდი ნაკადი, რომელსაც განსაკუთრებით ფართოდ კარი ივანიშვილის ხელისუფლებამ გაუღო ყოველწლიურად იუსტიციის სამინისტრო 50 000-მდე მოწმობას გასცემს ძირითადად აზიის ქვეყნებიდან (ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, საუდის არაბეთი და თურქეთი) ჩამოსულ მიგრანტებზე“ (თავისუფალი საქართველოს საარჩევნო პროგრამა 2020, 12-13). პროგრამაში აღნიშნულია, რომ ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტების გაკეთებული პროგნოზით, 2050 წლისთვის ქართველები ქვეყანაში ეთნიკური უმრავლესობა აღარ იქნება (თავისუფალი საქართველოს საარჩევნო პროგრამა 2020, 13).

„თავისუფალი საქართველოს“ გზავნილებიდან უნდა გამოიყოს შემდეგი საკითხები. ამ პარტიის შემთხვევაშიც ვხვდებით მეტა-

ფორის გამოყენებას, კერძოდ, „იმიგრანტების მზარდი ნაკადი“. ნაკადი, რომელიც იზრდება და შეიძლება წალეკოს ქვეყანა. აღნიშნული პოლიტიკის გატარება საქართველოს ხელისუფლებებს (განსაკუთრებით ქართული ოცნებას) ბრალდებათ. ემოციების გამძაფრების და შიშებზე აპელირების მიზნით, მოყვანილია კონკრეტული ციფრი. უარყოფითი ასოციაციების გამოსაწვევად ამ შემთხვევაშიც ჩამოთვლილია ის ქვეყნები (მაგ: ჩინეთი), რომლებიც მოსახლეობის სიდიდით გამოირჩევიან და განსხვავებული რელიგიური მრწამსის ქვეყნები არიან (რაც საზოგადოებაში აჩენს ერთგვარ ეფექტს, რომ ქვეყანა ჩინელებით „ივსება“). საქართველოს შეიძლება დაპყრობა ან გაქრობა ემუქრებოდეს, ამიტომაც უნდა შეიზღუდოს იმიგრაცია.

კუკავაც იყენებს ანტიიმიგრანტულ დისკურსებს, როგორც მანამდე აღინიშნა ის მოიცავს ნაციონალისტურ (ნატივისტურ) გზავნილებს. „საქართველო ქართველებისთვის“ ნარატივი, რომელიც ეროვნული მოძრაობის პერიოდში საკმაოდ გავრცელებული იყო. თუმცა, იმ პერიოდისგან განსხვავებით, დღეს არსებული გზავნილები ძირითადად მიმართულია იმიგრანტების წინააღმდეგ და არა ეროვნული უმცირესობების მიმართ, შესაბამისად, ქართული ნატივისტური აქტორების სამიზნე შეიცვალა.[13] პოპულისტური განზომილება იკვეთება, როდესაც ხელისუფლებას ბრალდება, რომ ის ხელს უწყობს უცხოელების ჩამოსახლებას და დასაქმებას, ხოლო ამის საპირისპიროდ ქართველების დასაქმებისთვის არაფერს არ აკეთებს, რომლებიც ქვეყნიდან გარბიან. პოპულისტური დისკურსი ლიბერალურ პოლიტიკურ ხელისუფლებას (ელიტას) იღებს სამიზნედ, რომელიც ეროვნული ღირებულებების მატარებელი არ არის.

[13] თუმცა განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ეთნიკურ უმრავლესობას საფრთხე ემუქრება და შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდეს, შესაბამისად ეროვნული უმცირესობები იმიგრანტებზე მაღლა დგანან, მაგრამ უპირატესობა ეთნიკურ უმრავლესობას უნდა ენიჭებოდეს.

ქართულ მარშს მსგავსი არგუმენტები გააჩნდა. როგორც „თავისუფალი საქართველოს“ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებულია ჩინელებზე და არაბებზე, რაც ნეგატიური ასოციაციის აღძვრის მიზნით ხდება. (ბრეგაძე, „ინგა გრიგოლიას საარჩევნო რეაქცია“, 2020). პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, „ახლა როდესაც მოღებულია საზღვრები, ოღონდ აქედან გაყარონ ქართველები და აქ ჩამოასახლონ უცხოელები ვის რაში სჭირდება ეს, რომ ქართველებად აღიზარდონ ჩვენი შვილები (გიგაური, 2020). აქ იკვეთება ქსენოფობიური დამოკიდებულება იმიგრანტების მიმართ, რომელიც დასავლეთში არსებულ ნატივისტურ და ევროსკეპტიკურ ძალებს ახასიათებს. პარტიას ნატივისტური იდეოლოგია გააჩნია და პოპულიზმს იყენებს, როდესაც „სოროსელებს“ აბრალებს „საზღვრების მოღებას“ და ეთნიკური ქართველების საქართველოდან გადინებას.

ქართული მარში 2020 წელს აცხადებდა, რომ „ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის გარიგება („კოჰაბიტაცია“) არსებობს“ (რომლის შუამავალი ჯორჯ სოროსია). „სოროსს“, ანუ გლობალურ ლიბერალურ ძალებს, მიეწერებათ ქართული პოლიტიკური ელიტის კონტროლი,[14] რომელიც მათ დავალებებს ასრულებს და მათსავით ლიბერალური შეხედულებები გააჩნია. ქართველი

[14] თუმცა აღსანიშნავია, რომ „ქართულ მარში“ და მისი ლიდერი „ქართულ ოცნებაში“ მყოფ ყველა წევრს თუ დეპუტატს (განსაკუთრებით ე.წ „ძველ სახეებს“) კოჰაბიტაციის მომხრედ და ლიბერალური „სოროსული“ ელიტის წარმომადგენლად არ მიიჩნევს (ბრეგაძე, „ინგა გრიგოლიას საარჩევნო რეაქცია“, 2020). შესაბამისად, ქართული მარშის შემთხვევაში ანტაგონიზმის კონსტრუქცია ხდება ერთის მხრივ, „ჩვენ“ ქართული ტრადიციული (კონსერვატიული) ფასეულობების მქონე უბრალო ხალხსა და მისი ნების წარმომდგენლებს და მეორეს მხრივ, ლიბერალური, კოსმოპოლიტური და გლობალური („სხვა“) ინტერესების გამტარებელ ძალებს შორის, რომლის ყველაზე ნათელ მაგალითს ყოფილი მმართველი პარტია ნაციონალური მოძრაობა და მისგან გამოყოფილი ევროპული საქართველო წარმოადგენს.

ხალხი კონსტრუირებულია როგორც ჩაგრული ლიბერალურ ელიტასთან და მათ უცხოელ „პატრონებთან“ მიმართებით. გზავნილი ნაციონალ-პოპულისტურია, სადაც ძირითადი აქცენტი პოპულისტურ განზომილებაზეა გამახვილებული (ანუ გლობალურ ლიბერალურ ძალებზე) შესაბამისად, ის ანტილიბერალური დისკურსების ფორმას იღებს.

პატრიოტთა ალიანსის განაცხადებით, დღეს საქართველოში დამპყრობელი ჩაგრულის ნიღბით მოდის. ის უფლებების დაცვის მიზნით ითხოვს, რომ არ დაჩაგრონ და სხვადასხვა კანონების მიღებას ითხოვს. ისინი უფლებების დაცვის ნაცვლად, საკუთარი ცხოვრების წესის მოხვევას ცდილობენ, რაც სამშობლოზე, კულტურაზე, რწმენასა და ქართველობაზე უარის თქმას ნიშნავს. ის ცდილობს ქართველების აზროვნების წესი მოსპოს, რაც კაცის მიერ კაცობაზე და მანდილოსანის მიერ მანდილზე უარის თქმის მცდელობაა (საქართველოს პატრიოტი, 2016, 8). აღნიშნული განცხადება ნაციონალისტურ განზომილებას მოიცავს, სადაც ქართული წეს-ჩვეულებები შევიწროებას განიცდის. წინამდებარე განცხადება „ქართველობას გვართმევენ“ ნარატივია. პოპულისტური (ვერტიკალური) განზომილება იკვეთება სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებით. ნატივისტი აქტორებისთვის ის „სხვაა“, მაგრამ აქ ის „ქვევით“ არის მოთავსებული („ზევით“ მყოფი ელიტისგან განსხვავებით) და „უმწიკვლო ხალხის“ ნაწილს არ წარმოადგენს. ნაგულისხმევი მნიშვნელობის მიხედვით, ელიტა სექსუალური უმცირესობების ინტერესებს ატარებს და ქართულ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს არ იცავს.

ქართული იდეა ულტრამემარჯვენე პარტიათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ. პარტია სახელმწიფო წყობას უპირისპირდება, რომელიც მათი აზრით უღვთოა, ეს ყველაფერი ხელისუფლების ნებით ხდება და ქვეყანა „მთლიანად იმართება გარე, დასავლური იდეოლოგიით, ბნელი სატანური ძალებით, ჩვენი პარლამენტარების მიერ თითქმის ერთხმადაა დაკანონებული 10 მცნების საწინააღმდეგო

უამრავი მძიმე ცოდვა:“ (ფალავანდიშვილი, ქართული იდეის პრეზენტაცია, 2020).[15] ამ განცხადებაში ჩანს სეკულარიზმის პრინციპების უარყოფა. სახელმწიფო კანონები და პოლიტიკა რელიგიასთან შესაბამისობაში უნდა იყოს. რელიგიურ-პოპულისტური გზავნილების გამოყენება ხშირია ნატივისტური პარტიების მიერ.[16] თავისთავად დასავლეთი წარმოდგენილია, როგორც გარყვნილების გამავრცელებელი, რაც ჰომოსექსუალიზმის მხარდაჭერით ხდება. დისკურსი მანიქეურია, გამოკვეთილია კეთილსა და ბოროტს შორის დაპირისპირება. ერთის მხრივ არის სახელმწიფო და მედია, რომლის უკან დასავლეთში არსებული ბნელი „სატანური“ ძალები არიან, ხოლო მეორეს მხრივ უფალი, ეკლესია და ქართველი ხალხი, რომელსაც მძიმე არჩევანის წინაშე აყენებენ.

პარტიისთვის რუსეთიც და აშშ-ც ოკუპანტია, თუ პირველს საქართველოს 20% აქვს ოკუპირებული, მაშინ მეორეს დანარჩენი 80% (ფალავანდიშვილი, საქართველოს რადიო, 2020). ქმედების აღწერის კუთხით, აშშ უფრო ნეგატიურად არის წარმოჩენილი, ვიდრე რუსეთი, რადგან მას უფრო მეტი ტერიტორია აქვს ოკუპირებული და მხარს უჭერს გეი-მარშების ჩატარებას, რასაც რუსეთი არ აკეთებს. შესაბამისად, რუსეთის ნეგატიური მინიმიზირებულია (რისი ერთ-ერთი მიზეზიც რუსეთის მართმადიდებლური აღმსარებლობაა), ხოლო აშშ-ს უარყოფითი მხარეები წინ წამოწეულია. სხვა ნატივისტი აქტორებისგან განსხვავებით პარტია პირდაპირ აბრალებს

[15] უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის საპარლამენტო სიის და მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა, რიყეზე, ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს გაიმართა, სადაც პარტიის წევრები ჩოხებში იყვნენ შემოსილნი. ამ ქმედების და სიტყვით გამოსვლის მიზანი იყო, რომ ხაზი გაესვა ქართველების თავდადებისათვის ქრისტიანობისთვის და რომ „ქართული იდეა“ ქართულ ტრადიციებსა და კულტურას, უცხოელი დამპყრობლებისგან დაიცავს.

[16] 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართული იდეის სლოგანი „მრევლის ხმა პარლამენტში“ იყო.

დასავლეთის ქვეყნებს და მათ საელჩოებს, რომ ისინი ქვეყანაში გარ-ყვნილი იდეოლოგიის გავრცელებასა და გეი მარშების ჩატარებას ცდილობენ (ფალავანდიშვილი, ქართული იდეის პრეზენტაცია, 2020).

აღნიშნული „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის“ ნა-რატივია, რომელიც საქართველოს როგორც უძველესი, გამორჩეუ-ლი ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობის დისკურსის ნაწილია. ძირითადი გზავნილი ნატივისტურია ის ქართველი ხალ-ხის სახელით საუბრობს და მისი ფასეულობების დაცვაზე ამახვი-ლებს ყურადღებას, გარედან მომავალი საფთხისგან. ხოლო ხელი-სუფლება ამ დასავლური ძალების „მარიონეტია“ და მათ ბრძანებებს ასრულებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავას-კვნათ, რომ ნაციონალ-პოპულისტური გზავნილები, ძირითადად ნაციონალისტურ განზომილებაზე აკეთებს ყურადღებას, ხოლო პო-პულისტური გზავნილები მისი თანმდევია, რომელიც ქართველი ხალხის (რომელიც ეთნიკურად ქართველი და მართმადიდებელია) როგორც ჩაგრულის კონსტრუქციას ახდენს, ხოლო ხელისუფლება (ელიტა) კორუმპირებულია და „სხვაა“.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტია „თეთრები“ აქ-ცენტს გარედან მართული პარტიებისა და პოლიტიკოსებისგან მო-შორებაზე აკეთებდა. „ქვეყნის გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვე-ძიოთ და არა - პატრონები“ (თეთრები, საარჩევნო პროგრამა 2020, 1). განცხადება ანტიდასავლური რიტორიკის ნაწილია და მიმართუ-ლია არსებული პოლიტიკური ელიტისადმი, რომელიც დამოკიდე-ბულია დასავლეთზე და მათ ნება-სურვილს ემორჩილება. ის გაიგ-ივებულია ანტიქართულთან, რადგან სხვა ქვეყნები საქართველოს ვერ იხსნიან. აქტორთა აღწერის კუთხით დასავლეთი წარმოდგენი-ლია, როგორც პატრონი, ამ კუთხით ის გაიგივებულია რუსეთთან, რომელიც თავის დროზე ქვეყნის „პატრონი“ იყო. ქვეყანას არა პო-

ლიტიკოსები უნდა მართავდნენ, არამედ ტექნოკრატები და ზნეობრივი ინტელექტუალები (თეთრები, საარჩევნო პროგრამა 2020, 1). პოპულისტურ განცხადებას წარმოადგენს, რომ პოლიტიკური ელიტა სიყალბეში აცხოვრებს მოქალაქეებს.

„ჩვენ ვპირდებით ხალხს, რომ ვუცხადებთ უკომპრომისო ბრძოლას სწორედ პოლიტიკურ მაფიას, კლანურ მმართველობას, უზნეო მდიდართა პარპაშს, უზნეო უმცირესობის ბატონობას ზნეობრივ უმრავლესობაზე“ (თეთრები, საარჩევნო პროგრამა 2020, 2). პარტია ბრძოლას უცხადებს სოროსულ-მასონურ წრეებს, და მათ პოლიტიკურ წარმომადგენლებს ქვეყანაში. ხაზგასმულია, რომ საქართველო განვითარდება ან სოროსელ-მასონები დაიმორჩილებენ ქვეყანას. **ეს პარტიები გარედან ფინანსდებიან, ხოლო არასამთავრობოები, მედიასაშუალებები, პოლიტიკოსები „პარპაშობენ“** (თეთრები, საარჩევნო პროგრამა 2020, 2). **სიტყვა „პარპაშობენ“ მეტაფორად შეგვიძლია წარმოვიდინოთ, რომ ხალხში განუკითხაობისა და შემოსევის შეგრძნება გააჩინოს.** ამ მოწოდებაში ძირითადად პოპულისტური თემები იკვეთება **როგორიც არის ზნეობრივი უმრავლესობა უზნეო უმცირესობის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი ქვეყნის სათავეშია, არ არის არჩეული და ბატონობს ზნეობრივ უმრავლესობაზე, მას გააჩნია მსოფლიო სოროსულ-მასონური წრეების (ფინანსური) მხარდაჭერა, რომლებიც მას აკონტროლებენ, რაც ნაციონალისტურ განზომილებას მოიცავს. თუმცა ამ შემთხვევაში ნაციონალისტურ განზომილებაში არ ჩანს, რომელიმე კონკრეტული ქვეყნის წარმომადგენელი და მასში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც იგულისხმებიან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სოროსულ-მასონური წრეები არიან მსოფლიო გლობალურ-ლიბერალური კოსმოპოლიტური ელიტა. აქედან გამომდინარე, ამ გზავნილს გააჩნია ქართული ელიტის და რაც მთავარია გლობალური კოსმპოლიტური ელიტის საწინააღმდეგო პოპულისტური განზომილება, რომელიც ამავდროულად, ნაციონალისტურ განზომილებასაც მოიცავს.**

დასკვნა

პოპულისტური გზავნილები საქართველოს ბევრი პოლიტიკური ორგანიზაციის წინასაარჩევნო კამპანიაში გვხვდება. გზავნილებში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: ხელისუფლება (მოქმედი თუ ყოფილი) ქართველი ხალხის ინტერესს არ იცავს, შესაბამისად სახელისუფლებო ელიტის და ჩვეულებრივი მოქალაქის მისწრაფებები და ღირებულებები ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავდება.

განხილულ პარტიათაგან, ნატივისტები ყურადღებას ანტიიმიგრანტულ და მიწის უცხოელებზე გაყიდვის აკრძალვაზე ამახვილებენ, ხოლო ნაციონალ-პოპულისტები ანტიდასავლური და „სექსუალური უმცირესობების“ უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული გზავნილებით გამოირჩევიან (ამავდროულად ეს საკითხები ნატივისტი აქტორებისთვისაც მნიშვნელოვანია). ორივე მიმართულების პარტიებში გვხვდება პოპულისტური განცხადებები, რომლის თანახმად, გლობალური ლიბერალური („სოროსული“ და მასონური) ძალები აკონტროლებენ საქართველოს ხელისუფლებას, ებრძვიან ეროვნულ ძალებს და ქართულ ცნობიერებას. ხშირ შემთხვევაში ნატივისტების და ნაციონალ-პოპულისტების ნარატივების გამიჯვნა რთულია.

თეთრები ძირითადად პოპულისტურ გზავნილებს იყენებენ და მათ ნარატივებში ნატივისტური გზავნილები იშვიათად გვხვდება. ისინი, როგორც წესი გლობალურ მასონურ-სოროსული ძალებს და მათ წარმომადგენლებს აკრიტიკებენ. მათი პოპულისტური გზავნილების უკან ანტილიბერალური და ანტიდასავლური იდეები იკვეთება.

გარდა ამისა, პოპულისტურ გზავნილები ერთდოულად ეხება ზემოთ მდგომ „სხვა“-ს (მაგ., ელიტა) და ქვემოთ მდგომი „სხვა“-ს (მაგ., სექსუალურ უმცირესობებს, რომელებსაც ლიბერალური ელ-

იტის და დასავლეთის მხარდაჭერა გააჩნიათ). ასეთ თემებზე ყურადღებას ქართული იდეა (და პატრიოტთა ალიანსი) ამახვილებს, რომელიც სექსუალური უმცირესობების მიმართ უაღრესად ნეგატიური დამოკიდებულებით გამოირჩევა. ეს პარტია ქართულ ელიტას „გეი პრაიდების“ ჩატარებასა და დასავლეთის მორჩილებაში ადანაშაულებს. მის გზავნილებში დომინირებენ ისეთი ნარატივები/დისკურსები, როგორიცაა მაგ., „ქართველობას გვართმევენ“, „მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნა“ და „ასი ათასი მოწამის ქვეყანა“.

ნატივისტი მიმართულების მქონე პარტიები თავიანთ რიტორიკას ძირითადად თურქი, ჩინელი, ინდოელი, ირანელი ან არაბი იმიგრანტების წინააღმდეგ მიმართავენ. გაზრდილი იმიგრაცია ხელისუფლებას ბრალდება და ამის ფონზე აშკარად იკვეთება ქსენოფობიური დამოკიდებულება ზემოთ აღნიშნული ეროვნების იმიგრანტების მიმართ. ეს გზავნილები პოპულისტურ განზომილებას იძენს, რადგან იმიგრაციის მხარდამჭერი ხელისუფლება წარმოჩენილია, როგორც ქართველი ეთნოსის ინტერესებს შემლახავი ძალა. ნატივისტების გზავნილები ზოგჯერ „მეტაფორის“ ხასიათის ატარებს - „იმიგრანტების ტალღები ქართველების წალეკვას და დახრჩობას გამოიწვევს“. ანტიიმიგრანტულ გზავნილებს ის პარტიებიც იყენებენ, რომლებიც ნატივისტური დამოკიდებულებით არ გამოირჩევიან (მაგ: ლეიბორისტული პარტია) და თავიანთ პოზიციებს უფრო ადგილობრივი მუშახელის დაცვით ხსნიან. არსებულ გზავნილებში, ასევე ვხვდებით შემდეგ ელემენტებს: აქტორთა ნეგატიურ წარმოჩენას, ნაგულისხმევი მნიშვნელობებს, მოვლენის და ქმედების აღწერის ხარისხს და სხვა, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში ქსენოფობიური დისკურსების (და დამოკიდებულების) გადასაფარად გამოიყენება. ნატივისტური პარტიები, ქსენოფობიურის იარლიყის თავიდან აცილების მიზნით, ცდილობენ საკუთარი პოზიციები ანტილიბერალურად წარმოაჩინონ.

პარტიების საგარეო-პოლიტიკურ გზავნილებში აქცენტი კეთდება შემდეგ თემებზე (კატეგორიებზე): დასავლეთი (ნატო, აშშ), რუსეთი და ნეიტრალიტეტი. ყველა ნატივისტ და ნაციონალ-პოპულისტურ პარტიის რიტორიკისთვის პრაქტიკულად უცხოა რუსეთის კრიტიკა (მათ შორის, მემარცხენე პარტიებისთვის როგორიც არის ერთიანი კომუნისტური პარტია). ზოგიერთი ასეთი პარტია მათთან ურთიერთობების აღდგენისკენ იხრება და ამას ეკონომიკური მიზნებით ამართლებს (ქართული პროდუქციის ე.წ „ტრადიციულ“ რუსულ ბაზარზე დაბრუნებით). ნაკლები კრიტიკა ჩანს რუსეთის ნეგატიური ქმედებების მინიმიზირებაში, ხოლო მეორეს მხრივ, ხდება დასავლეთის ნეგატიური ზეგავლენის ხაზგასმა (მაგ: ქართული იდეა). მათი აზრით, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია საქართველოს ხელისუფლების გაუაზრებელი ქმედების ან მისი ნატოში სწრაფვის შედეგია. იმავდროულად, ამ პარტიების ნაწილი ითვალისწინებს რა იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებას ემხრობა, თავს იკავებს რუსეთის პოზიტიურ კონტექსტში მოხსენიებისგან. ამასთან, მათ გზავნილებში მრავლადაა დასავლეთის, კერძოდ ნატოსა ან აშშ-ს კრიტიკა. ანტიდასავლურ პოპულისტურ ნარატივებს მემარცხენე პარტიებიც იყენებენ (მაგ: საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია). ის პარტიები, რომლებიც საქართველოს ნეიტრალიტეტს ემხრობიან ანტიდასავლური გზავნილებით გამოირჩევნიან.

დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ ნაშრომში განხილული პოლიტიკური ორგანიზაციების წინასაარჩევნო კამპანიაში ერთდროულად გამოიყენებოდა, როგორც პოპულისტური, ასევე ნაციონალისტური და ნატივისტური გზავნილები. ნაციონალისტური ან ნატივისტური შეხედულების მქონე პარტიები საკუთარ დამოკიდებულებას და შეხედულებებს პოპულიზმის სახით წარმოაჩენენ, ხოლო ხელისუფლების (ელიტის) წინააღმდეგ ხალხის სახელით გა-

მოდიან. ჩემი აზრით, ნატივიზმი (ან ნაციონალიზმი) არის მათი იდეოლოგიის ქვაკუთხედი, ხოლო პოპულიზმი - რეპრეზენტაციის ფორმაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაღათურია, ჯ. ქართული დასი. (2020, ოქტ. 13). არჩევნები 2020. (რადიო ეთერი) რადიო თავისუფლება - (გადაცემა „დილის საუბრები“). მოძიებული: 23.06.2022: https://www.youtube.com/watch?v=Gll6FMjZqyo

ბრეგაძე, ს. „ქართული მარში - ეროვნული მოძრაობა“. (2020, ოქტ. 24) ინგა გრიგოლიას საარჩევნო რეაქცია. ტვ პირველი. მოძიებული: 25.06.2022. https://www.facebook.com/GeoMarchPolit/videos/1032843297158495

გიგაური, გ. ქართული მარში. (2020, ოქტ. 6). არჩევნები 2020 - დებატები. პირველი არხი. მოძიებული: 11.10.2022. https://www.youtube.com/watch?v=0AxNYWL-m7c

თავისუფალი საქართველო. საარჩევნო პროგრამა 2020. მოძიებული: 5.06.2022. https://droa.ge/wp-content/uploads/2020/10/21-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D.pdf

თევდორაძე, გ. (2020, სექტ. 21). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოძიებული: 24.04.2022. https://www.facebook.com/dilissaubrebi/videos/659691504669239

თეთრები. საარჩევნო პროგრამა 2020. მოძიებული: 25.09.2022: https://droa.ge/wp-content/uploads/2020/10/1-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

კუკავა, კ. (2020, სექტ. 26). *7 პრიორიტეტი გვაქვს, რაც ჩვენ საარჩევნო პროგრამაშია.* ინტერპრესნიუსი. მოძიებული: 24.10.2022. https://www.interpressnews.ge/ka/article/620293-kaxa-kukava-7-prioriteti-gvakvs-rac-chven-saarchevno-programashia

ნაციონალიზმი: ენციკლოპედიური ცნობარი. (2021). შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდი.

ოთარაშვილი. ვ. (2016, სექტ. 19). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოძიებული: 24.03.2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/27999880.html

საქართველოს ლეიბორისტული პარტია. საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016. (n.d.). www.ivote.ge. მოძიებული: 11.05.2022: http://www.ivote.ge/archevnebi/saparlamento-archevnebi/saparlamento-archvenebi-2016/programebi/22779-saarchevno-programa-saparlamento-archevnebi-2016-saqarthvelos-leiboristuli-partia.html?lang=ka-GE

საქართველოს ლეიბორისტული პარტია. საარჩევნო პროგრამა 2020. მოძიებული: 12.05.2022. https://www.labour.ge/ka/chvens-shesakheb/programa/article/15156-saarchevno-program2020

საქართველოს პატრიოტი, (2016). 1-20.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი, თავი VI. წინასაარჩევნო კამპანია. მუხლი 45. წინსაარჩევნო კამპანია (აგიტაცია). ქვეპუნქტი 1 (2011). მოძიებული: 29.05.2022. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=73

ფალავანდიშვილი, გ. (2020, ოქტ. 16). არჩევნები 2020. (რადიო ეთერი). საქართველოს რადიო. მოძიებული: 14.11.2020: https://1tv.ge/audio/archevnebi-2020-saarchevno-programebi-qartuli-idea-44/

ფალავანდიშვილი, გ. რიყეზე გამართული „ქართულ იდეის“ პრეზენტაცია. *დიდ ხარ შენ უფალო.* (2020 ოქტ. 16) მოძიებული: 8.12.2020. https://www.facebook.com/Church.Georgia/posts/2736375213290906

ფიფია, თ. (2016, სექტ. 6). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოძიებული: 11.05.2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/interview-with-temur-pipia/27970023.html?fbclid=IwAR2CuaJzXsLQB4Ju4FgIb8P3ROspqy36zdcaJUCVRG0e_x1bs3RInlfMjtw

შუკაკიძე, ლ. (2016, სექტ. 15). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოძიებული: 18.06.2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/morning-show-guest-lasha-shukakidze/27989702.html

ჩაჩუა, ლ. (2016, სექტ. 6). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოძიებული: 18.06. 2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/saubari-levan-chachuastan/27969749.html

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხაჩიშვილი, თ. (2016, სექტ. 20). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოძიებული: 4.06.2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/28002063.html

ჯაფოშვილი, თ. (2016, სექტ. 14). (რადიო ეთერი). რადიო თავისუფლება. მოძიებული: 4.06.2022. https://www.radiotavisupleba.ge/a/morning-show-guest/27988037.html

Bonikowski , B., & Gidron, N. (2016, December 26). Multiple Traditions in Populism Research: Toward a Synthetic Analysis. *APSA Comparative Politics Newsletter*.

Brubaker, R. (2020). Populism and Nationalism. *Nations and Nationalism, 26*(1). Retrieved 24.01.2021 from https://onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/nana.12522

De Cleen, B. (2017). Populism and Nationalism. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 434-460). New York: Oxford University Press.

Fact check: No evidence Bill Gates said 'at least 3 billion people need to die'. (2021, January 29). Reuters. Retrieved: https://www.reuters.com/article/uk-factcheck-bill-gates-fake-3-billion-q-idUSKBN29Y20D

Georgian Labour Party. 2016, 23 სექტემბერი. ლეიბორისტული პარტიის წარდგენა გადაცემაში „არჩევანი 2016“. (ვიდეო). YouTube. მოძიებული: 24.05.2022. https://www.youtube.com/watch?v=T2uyUU1CSww

Gidron, N., & Bonikowski, B. (2013). Varieties of Populism: Literature Review and Research Agenda. *The Weatherhead Center for International Affairs*(13-0004).

Jakobson, M.-L. (2012, November). Populism in the Baltic States. *Open Estonia Foundation, Tallinn University*.

Laclau, E. (2005). Populism: What's in a Name? In F. Panizza, *Populism and Mirror of Democracy.* (pp. 32-49). Verso.

McCarthy, N. (2019, May 2). *Statista*. Retrieved 15.03.2021. from https://www.statista.com/chart/17860/results-of-far-right-parties-in-the-most-recent-legislave-elections/

Moffitt, B., & Tormey, S. (2013). Rethinking Populism: Politics, Mediatisation and Political Style. *Political Studies Association.* doi:doi: 10.1111/1467-9248.12032.

Mudde, C. (2004)(a). The Populist Zeitgeist. *Government and Opposition*, Published by Blackwell Publishing, Oxford, USA. 541-563.

Nativism. European Center for Populism Studies (ECPS). Retrieved 24.11.2022. https://www.populismstudies.org/Vocabulary/nativism/

Panayotu, P. (2017, January 6). *Transnational Left-wing Populism*. Retrieved from Political Observer on Populism: https://populismobserver.com/2017/01/06/transnational-left-wing-populism-a-response-to-trumps-victory/

Panizza, F. (2017). Populism and Identification. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 406-425). New York: Oxford University Press.

Poblete, M. E. (2015, May 7). How to assess populist discourse through three current approaches. *Journal of Political Ideologies*.

Roberts, K. M. (2017). Populism and Political Parties. In C. R. Kaltwasser, P. A. Taggart, P. O. Espejo, & P. Ostiguy, *The Oxford Handbook of Populism* (pp. 287-304). New York: Oxford University Press.

Silagadze, G. (2020(b)). Is Georgian Populism Eurosceptic? (36)

Taguieff, P.-A. (1995, March 20). Political Science Confronts Populism: From a Conceptual Mirage to a Real Problem. *Telos Press*(103).

Van Dijk, T. (2006). Ideology and Discourse. *Journal of Political Ideologies*, 175-196.

When Populism Meets Nationalism: Reflections on Recent Trends. (Webinar). (2020). Georgian Institute of Politics. Retrieved 19.05.2021, from https://www.facebook.com/GeorgianInstituteofPolitics/videos/320982645536187/UzpfSTEwMDAwMDQ0NzEwNjA0MjozMTg0NTkwNTE4MjMyNDg3/

Wodak, R., & Meyer, M. (2016). *Methods of Critical Discourse Studies (3rd edition).* Sage.

Giorgi Gogsadze

Populist and Nativist Discourses of Political Parties in 2016 and 2020 Parliamentary Elections of Georgia

Abstract

Populist, nationalist and nativist rhetoric have an important role in Georgian politics, but despite their growing influence, there is a lack of scientific study of such narratives and discourses. Since 2013, Georgia has adopted a parliamentary system, which makes the elections of the country's highest legislative body the most important event in political life, this event has increased the role of political parties. Transfer of power after 2012, increased media diversity, which allowed more actors to enter the political arena and present their views to the public. The development of social media also contributed to the growth of populism. The changes implemented in Georgia and the growing populist wave around the world make this issue more significant. The strengthening of populist and nativist actors and the spread of their discourses had its impact on Georgian national-populism.

The article aims to identify the nativist, nationalist and populist discourses used by political parties in the parliamentary elections of 2016 and 2020. At the same time, to reveal essential differences between these discourses and messages.

In the article populism is understood as a discursive style. It is available to all political actors and it acquires multiple meanings depending on the social context. Benjamin De Cleen's theory surrounding relationship between populism and nationalism is explored, according to which populism is used as an instrument by nationalists. The article applies Teun van Dijk's sociocognitive approach to discourse analysis in order to analyze the programs of political parties and the political speeches of their leaders.

According to the findings, most frequently used narratives/discourses are "We are being deprived of Georgianhood", "the land of the Virgin Mary", "the country of the hundred thousand martyrs". When evaluating the ideological significance of parties' views, we find the following elements of discourse: negative description of actors, implications and presuppositions, propositions and also metaphors. They are usually used to disguise xenophobic attitudes.

Nativists focus on anti-immigrant messages and banning of sale of agricultural land to foreigners (such as, Free Georgia, Georgian March, Patriot Alliance), in order to avoid being labeled as xenophobic, try to portray their positions as anti-liberal. At the same time, anti-immigrant messages are also used by parties that are not characterized by nativist attitudes (e.g Labor Party). National-populists heavily employ anti-Western and homophobic narratives (e.g the Georgian idea). All of the above mentioned political parties use populist narratives, suggesting that global liberal ("Soros" and Masonic) forces are set to control Georgian government and subdue Georgian national (patriotic) forces. All nativist and national-populist parties practically don't criticize Russia and focus on "malignant" influence of the west (for example NATO, USA). In many cases, it is difficult to separate the narratives of nativists and national-populists.

In conclusion, parties with a nationalist or nativist ideology use populism as an instrument. They appeal on behalf of the ordinary and oppressed people to legitimate their exclusionary nationalist positions. In my opinion, nativism (or nationalism) is the cornerstone of their ideology, and populism is a form of its representation.

Keywords: Populism, nativism, national-populism, messages, narratives, discourses, political parties, party programs, USA, NATO.